

გამანაწილებელ ქსელზე დაერთებული მზის ელექტროსადგურის ძირითადი კომპონენტების მახასიათებლები

1. ფოტოელექტრული პანელების ტექნიკური მახასიათებლები:

ტიპი: პოლიკრისტალური ან მონოკრისტალური, half-cell, PERC ან n-type;

სიმძლავრე: 400-600 ვატი;

მარგი ქმედების კოეფიციენტი, არანაკლებ: 20%;

მაქსიმალური ძაბვა სისტემაში: 1500 ვ, მუდმივი დენი;

დეგრადაციის ხარისხი: არა უმეტეს 18% 25 წლის გასვლის შემდეგ;

2. მზის ელექტროსადგურისათვის განკუთვნილი ინვერტერების ტექნიკური მახასიათებლები:

ტიპი: ქსელური, ჩაშენებული MPPT კონტროლერით;

გამომავალი სიგნალის ფორმა: სუფთა სინუსოიდა;

ფაზების რაოდენობა: 3;

მარგი ქმედების კოეფიციენტი, არანაკლებ: 96%;

სიმძლავრე: 30, 50, 70, 100 კვტ.

ბაზრის კვლევის მიზანია დადგინდეს შემდეგი პირობები:

- ერთეულის ღირებულება;
- შემოთავაზებული რაოდენობა არსებული ბიუჯეტის ფარგლებში (500,000 ევრო დღგ-ის გარეშე);
- მიწოდების ვადები;
- გარანტიის პირობები;
- დასაწყობების/ინსტალაციის ხარჯები (დამატებით).

გასათვალისწინებელი პირობები:

- ✓ მგფ მხოლოდ შეისყიდის მზის პანელებს და ინვერტერებს;
- ✓ მონტაჟს განახორციელებს სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“, არაუგვიანეს 2025 წლის 30 ივნისისა;
- ✓ მიმწოდებელი ვალდებული იქნება განახორციელოს მონტაჟის ზედამხედველობა. მიწოდების შემდეგ მგფ მიმწოდებელს გადაუხდის ხელშეკრულების სრულ თანხას, თუმცა მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია მთლიანი თანხის 2.5% ოდენობით, რომელიც ძალაში უნდა იყოს 2025 წლის 30 ივნისამდე. აღნიშნულ გარანტიას მგფ გაათავისუფლებს მონტაჟის ზედამხედველობის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 2025 წლის 30 ივნისისა.

შესავსები ცხრილი:

ბაზრის კვლევის შედეგად დასადგენი პირობები	მოწოდებლის შეთავაზება	
შემოთავაზებული რაოდენობა არსებული ბიუჯეტის ფარგლებში (500,000 ევრო დღგ-ის გარეშე)	ფოტოელექტრული პანელები	ინვერტერები
ერთეულის ღირებულება (ევრო, დღგ-ს გარეშე)		
მოწოდების ვადები		
გარანტიის პირობები		

დამატებით, გთხოვთ, შემდგომი ინფორმაციის მოწოდებას და ქვემოთ მოცემული ცხრილის შევსებას:

- შესყიდული მზის ელექტროსადგურების დასაწყობების ხარჯები ერთ თვიანი პერიოდით;
- მონტაჟთან დაკავშირებული ხარჯების თაობაზე თქვენი წინადადება (ან მოსაზრება, ან შენიშვნა) და/ან ღირებულება

ბაზრის კვლევის შედეგად დასადგენი პირობები	ღირებულება (ევრო, დღგ-ს გარეშე)	შენიშვნა/წინადადება/მოსაზრება
შესყიდული მზის ელექტროსადგურების დასაწყობების ხარჯები ერთი თვით		
ერთი მზის ელექტროსადგურის მონტაჟის ხარჯი		

გთხოვთ, ჩაერთოთ მოცემულ კვლევაში და წარმოადგინოთ შევსებული ცხრილი/ები PDF ფორმატში, არაუგვიანეს **2023 წლის 3 ნოემბრის 15 საათისა** ელ-ფოსტის საშუალებით cebprocurement@mdf.org.ge .